





ორიანა ფალაჩი

წერილი  
ვერდაბადებულ  
ბავშვს

დიდგენის  
ბიბლიოთეკა

ორიანა ფალაჩი  
წერილი ვერდაგაღებულ ბავშვს

Oriana Fallaci  
LETTERA A UN BAMBINO MAI NATO

იტალიურიდან თარგმნა ნათია აბრამიშვილმა

Questo libro è stato tradotto grazie ad un contributo alla traduzione assegnato dal Ministero degli Affari Esteri e della Cooperazione Internazionale italiano.

წიგნი ითარგმნა იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

© 1975-2015 RCS Libri S.p.A., Milan

© 2016-2017 Rizzoli Libri S.p.A./BUR Rizzoli, Milano

© 2019 Mondadori Libri S.p.A. Milano

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022

ყველა უფლება დაცულია.

Published by arrangement with ELKOST International Literary Agency

ISBN 978-9941-11-744-2

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

მას, ვისაც არ ეშინია ეჭვების,  
მას, ვინც სვამს კითხვებს  
დაულალავად, ტანჯვისა და სიკვდილის ფასად.  
მას, ვინც დილემის წინაშეა –  
აჩუქოს სიცოცხლე თუ არა.  
ამ წიგნს ერთი ქალი უძღვნის  
ყველა ქალს.



ნუხელ შენი არსებობის შესახებ შევიტყვე. შენი – არა-რასგან გამოტყორცნილი სიცოცხლის წვეთის. სიბნელეში ვიდექი თვალებგაფართოებული და უეცრად გონება გამინათდა: შენ ნამდვილად იქ იყავი. შენ არსებობდი. თითქოს ტყვია მომხვდა მკერდში. თავიდან გული გამიჩერდა, შემდეგ კვლავ დაიწყო ყრუდ ძგერა და როცა განცვიფრებისგან ამოხეთქა, მეგონა, თავი ღრმა ჭაში ამოვყავი, სადაც ყველაფერი გაურკვეველი და საშიში იყო. ახლაც შიშში ვარ გამომწყვდეული, რომელიც სახეს, თმასა და ფიქრებს მისველებს. ამ შიშში ვიკარგები. გთხოვ, გამიგე, ეს სხვების შიში არაა. სხვები არ მაინტერესებს. ეს არც ღმერთის შიშია. ღმერთის არ მნამს. არც ტკივილის შიშს ჰგავს. ტკივილის არ მეშინია. შენი მეშინია. იმ შემთხვევითობის მეშინია, რომელმაც არარას მოგგლიჯა და ჩემს სხეულს მიგამაგრა. შენთან შესახვედრად მზად არ ვიყავი, არადა გელოდი. საკუთარ თავს საზარელ კითხვას ვუმეორებდი – რომ არ მოგეწონოს დაბადება? ერთ დღესაც ყვირილით რომ მისაყვედურო: „ვინ გთხოვა, გამაჩინეო, რატომ მომავლინე ამ ქვეყნად, რატომ?“. ცხოვრება ისეთი დამქანცველია, პა-

ტარავ. ცხოვრება ყოველდღიური ბრძოლაა, ბედნიერების წუთები კი მცირე შესვენებებივითაა, რომლებიც ძვირად გვიჯდება. როგორ გავიგო, სწორი იქნებოდა თუ არა შენი მოშორება? იქნებ ჯობდეს, კვლავ დუმილს მიგაკუთვნო? პასუხებს შენგან ვერ მივიღებ. შენი სიცოცხლის წვეთი ჯერ ხომ მხოლოდ ახლად წარმოქმნილი უჯრედების გროვაა. ეს სიცოცხლეც კი არაა, უფრო სიცოცხლის შესაძლებლობაა. ბევრს გავილებდი, ჩემთვის რამე მინიშნების მოცემა რომ შეგეძლოს. დედაჩემი მეუბნება, რომ ჩემი თანხმობით მომავლინა ამ ქვეყნად.

იცი, დედაჩემს არ ვუნდოდი. შეცდომით ჩავისახე სხვა-თა წინდაუხედაობის გამო. რომ არ გავეჩინე, ყოველ საღამოს რალაც წამალს ხსნიდა წყალში და ტირილით სვამდა. ამას იქამდე აკეთებდა, სანამ ერთ საღამოს მუცელში არ გავინძერი და ფეხი არ მივარტყი. ამით მივანიშნე, რომ არ უნდა მოვეშორებინე. ჭიქა ლამის პირთან ჰქონდა მიტანილი. ჩემი დარტყმა რომ იგრძნო, ჭიქა შორს გასწია და შიგთავსი დაღვარა. რამდენიმე თვის შემდეგ, უკვე გამარჯვებულმა, მზის შუქი ვიხილე. არ ვიცი, კარგია თუ არა, ასე რომ მოხდა. როცა ბედნიერი ვარ, ვფიქრობ, კარგიამეთქი, როცა უბედური ვარ – პირიქით. თუმცა მაშინაც კი, როცა უბედური ვარ, მეფიქრება, რომ ცუდი იქნებოდა, არ დავბადებულისავი, რადგან არაფერია არარაზე უარესი. გიმეორებ, ტკივილის არ მეშინია. ტკივილი ჩვენთან ერთად იბადება, იზრდება და მის არსებობას ისე ვერჩევით, როგორც ორი ხელისა და ორი ფეხის ქონას. გულის სიღრმეში



სიკვდილისაც კი არ მეშინია: თუ ადამიანი კვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც დაიბადა და არარას თავი დააღ-  
ნია. მე არაფრის, არყოფნის მეშინია. იმის მეშინია, რომ  
შეიძლებოდა, არასდროს მეარსება, თუნდაც შემთხვევით,  
თუნდაც ვინმეს წინდაუხედაობის გამო. ბევრი ქალი უს-  
ვამს თავს კითხვას: „რისთვის უნდა მოვავლინო ბავშვი ამ  
ქვეყნად? იმისთვის, რომ იშიმშილოს ან შესცივდეს? იმის-  
თვის, რომ ვინმემ უღალატოს ან გაანაწყენოს? იმისთვის,  
რომ ომში მოკლან ან რამე სნეულებამ შეინიროს?“. ზოგი  
იმედსაც არ იტოვებს, რომ მისი შვილი შიმშილს დაიკმა-  
ყოფილებს, გათბება, ერთგულება და პატივისცემა ერგება  
წილად და დიდხანს იცოცხლებს, რათა ომებისა და სნეუ-  
ლებების წინააღმდეგ იბრძოლოს. იქნებ მართლებიც არიან.  
მაგრამ სწორია, ტანჯვას არარა ამჯობინო? მაშინაც კი,  
როცა ჩემს წარუმატებლობებს, იმედგაცრუებებსა და ტან-  
ჯვას მივტირი, ვასკენი, რომ არარას ტანჯვა სჯობს. და  
თუ ამ დასკვნას განვაზოგადებ და დაბადება-არდაბადების  
დილემას მივუსადაგებ, გამოდის, რომ დაბადება სჯობს არ-  
დაბადებას. და მაინც, რამდენად სამართლიანია ეს მსჯე-  
ლობა შენ შემთხვევაში? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამ  
ქვეყნად მხოლოდ ჩემთვის გაჩენ? ეს მიზეზი არ კმარა. მით  
უმეტეს, რომ საერთოდ არ მჭირდება.

ჩემთვის არაფერი მიგინიშნებია, არც ერთ კითხვაზე  
პასუხი არ გაგიცია. ან კი როგორ შეძლებდი ამას? ჯერ

ხომ ასეთი პატარა ხარ. ექიმისთვის რომ მეთხოვა, შენი არსებობა დაედასტურებინა, ალბათ, დამცინავად გამიღიმებდა. ეს გადანყვებილება შენთვის მივიღე: დაიბადები. ასე მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც შენი ფოტო ვნახე. ის მთლად შენი ფოტო არ ყოფილა – სამი კვირის ემბრიონის ფოტო იყო, რომელიც თან ერთოდა ჟურნალის სტატიას ნაყოფის განვითარების შესახებ. მისი ცქერისას შიშმა გამიარა. მისტიკურ ყვავილს, გამჭვირვალე ორქიდეას ჰგავდი. ზემოთ რაღაც თავის მსგავსი მოჩანდა ორი ამობურცულობით, რომელიც ტვინად უნდა ქცეულიყო; ცოტა ქვემოთ ღრმული იყო, რომლის ადგილზეც პირი გაჩნდებოდა. როგორც წარწერა იუნყება, სამი კვირისა თითქმის უჩინარი ხარ. მხოლოდ ორ-ნახევარი მილიმეტრი. არადა შენში უკვე არის თვალის მსგავსი წარმონაქმნი, რაღაც ხერხემლის, ნერვული სისტემის, კუჭის, ღვიძლის, ნაწლავების, ფილტვებისმავარი. შენ უკვე გულიც გაქვს, თანაც დიდი: ჩემს გულზე ცხრაჯერ დიდი. იგი სისხლს ტუმბავს და მეთვრამეტე დღიდან განუწყვეტლივ ფეთქავს: შევძლებდი კი შენს მოშორებას? რა მნიშვნელობა აქვს, შემთხვევით ჩაისახე თუ შეცდომით? ის სამყაროც კი, რომელშიც ვცხოვრობთ, შემთხვევით და, დიდი ალბათობით, შეცდომით არ წარმოიშვა? ზოგი ფიქრობს, რომ თავიდან არაფერიც არ არსებობდა – მხოლოდ დიდი სიმშვიდე, დიდი უძრავი სიჩუმე. შემდეგ რაღაც გასკდა, ნაპერწკლები გაიტყორცნა და ის, რაც არ იყო, გაჩნდა. ამ აფეთქებას სხვა აფეთქებები მოჰყვა – უფრო მოულოდნელი და აზრსმოკლებული.

მათი შედეგების განჭვრეტა კიდევ უფრო ძნელი იყო. ამ შედეგთაგან ერთ-ერთი უჯრედის შემთხვევით და, დიდი ალბათობით, შეცდომით დაბადება აღმოჩნდა. უჯრედმა მაშინვე დაიწყო გამრავლება – მილიონჯერ, მილიარდჯერ, სანამ არ გაჩნდა ხეები, თევზები, ადამიანები. შენი აზრით, ვინმე დადგა დილემის წინაშე დიდ აფეთქებამდე ან უჯრედის წარმოქმნამდე? ვინმემ ჰკითხა უჯრედს, უნდოდა თუ არა დაბადება? ვინმემ იფიქრა, რომ მას შეიძლებოდა მოშივებოდა, შესცივროდა ან უბედური ყოფილიყო? მეექვსეა. ასეთი ვინმე რომც არსებულებოდა, მაგალითად, ღმერთი – სანყისთა სანყისი, დროისა და სივრცის მიღმა არსებული – ალბათ, სიკეთესა და ბოროტებაზე არ დაფიქრდებოდა. ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ შეიძლებოდა, მომხდარიყო, მაშასადამე უნდა მომხდარიყო, იმ ძალმომრეობის მიხედვით, რომელიც ერთადერთი კანონიერი ძალმომრეობაა. ეს მსჯელობა შენც გეხება. არჩევანის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ.

ამ პასუხისმგებლობას ეგოიზმის გარეშე ვაკისრებ საკუთარ თავს, პატარავ. შენი ამ ქვეყნად მოვლინების იდეა სულაც არ მხიბლავს. ვერ წარმომიდგენია ქუჩაში მოსიერნე ჩემი თავი გაბერილი მუცლით, ვერ წარმომიდგენია შენი ძუძუთი კვება, დაბანა, შენთვის ლაპარაკის სწავლება. მე ვარ ქალი, რომელიც მუშაობს, რომელსაც ბევრი საქმე და ინტერესი აქვს. ისიც გითხარი, რომ არ მჭირდება. თუმცა მაინც შეგინარჩუნებ, მოგწონს ეს თუ არა. იმავე ვალდებულებას დაგაკისრებ, რომელიც მეც დამეკისრა, ჩემს

მშობლებსაც, ჩემს ბებია-ბაბუებსაც, მათ ბებია-ბაბუებსაც და იმ პირველ ადამიანსაც, რომელიც ვილაცამ შობა, მიუხედავად იმისა, მოსწონდა მას ეს თუ არა. ალბათ, პირველი ადამიანი არჩევანის წინაშე რომ დაეყენებინათ, შეშინდებოდა და იტყოდა: „არ მინდა დაბადება, არა!“, თუმცა მისთვის აზრი არავის უკითხავს და ამგვარად დაიბადა და მოკვდა, მანამდე კი შვილი გააჩინა, რომლისთვისაც არ უკითხავს, შემდეგ შვილმაც იგივე გაიმეორა და ასე გაგრძელდა მილიონობით წლის მანძილზე, ყოველ ჯერზე კი იმ თვითნებობასთან გვექონდა საქმე, ურომლისოდაც არ ვიარსებებდით. გამხნევედი, პატარავ. შენ გგონია, ხის თესლს მხნეობა არ სჭირდება, რომ მიწა გააპოს და აღმოცენდეს? ერთი ქარის დაბერვა და შეიძლება ამოიგლიჯოს, თაგვის ერთი თათის დადგმა და შეიძლება გაიჭყლიტოს. ის კი მაინც აღმოცენდება, მედგრად დგას, იზრდება და სხვა თესლსაც აღმოაცენებს. მერე ტყედ იქცევა. თუ ერთხელაც იყვირებ: „რატომ მომავლინე ამ ქვეყნად, რატომ?“, გიპასუხებ: „ის გავაკეთე, რასაც ხეები მილიონობით წლებია აკეთებენ, მეგონა, კარგად ვიქცეოდი“.

თუმცა მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ხეები ადამიანები არ არიან. ადამიანის ტანჯვა ასჯერ უფრო მძიმეა, რადგან ის გაცნობიერებული ტანჯვაა. არც ერთ ჩვენგანს ტყედ გადაქცევა არ უნერია და არც ყველა თესლი აღმოცენდება ხედ. უმეტეს შემთხვევაში იგი უკვალოდ ქრება. აზრის ამგვარი მყისიერი ცვალებადობა შესაძლებელია, პატარავ. ჩვენი ლოგიკა წინააღმდეგობებითაა სავსე. რო-

გორც კი რამე აზრს გამოთქვამ, მაშინვე მისი სანინააღმდეგო მოგდის თავში. და შეიძლება შენიშნო, რომ ეს სანინააღმდეგო აზრიც სრულიად საფუძვლიანია. დღევანდელი ჩემი მსჯელობა შეიძლება ხვალ ერთი ხელის მოსმით გაცამტვერდეს. აი, უკვე ამებნა აზრები. ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი ერთადერთი მესაიდუმლე ხარ. მე ის ქალი ვარ, რომელმაც მარტო ცხოვრება გადაწყვიტა. მამაშენი ჩემ გვერდით არაა. არაფერს ვნანობ, თუმცა ზოგჯერ თვალი კარისკენ გამირბის, საიდანაც იგი თავდაჯერებული ნაბიჯებით გავიდა. მე კი არ შევჩერე, თითქოს აღარაფერი გვექონდა ერთმანეთისთვის სათქმელი.

ექიმთან წაგიყვანე. შენი არსებობის დადასტურებაზე მეტად რჩევის მოსმენა მინდოდა. პასუხად მან მხოლოდ თავი გააქნია და მითხრა, სულსწრაფი ხართ, ჯერ ვერაფერს გეტყვითო. მირჩია, თხუთმეტ დღეში მივსულიყავი და იმისთვისაც მზად ვყოფილიყავი, რომ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი აღმოჩნდებოდი. მხოლოდ იმის დასამტკიცებლად დავბრუნდები, რომ უვიცია. ჩემი ინტუიცია მთელ მეცნიერებას უდრის. ან კი როგორ უნდა გაუგოს კაცმა ქალს, რომელიც ბავშვს ელოდება? მამაკაცი არ ორსულდება – ნეტავ ეს უპირატესობაა თუ ნაკლი? გუშინდლამდე უპირატესობად და პრივილეგიადაც კი მიმაჩნდა. დღეს კი ვფიქრობ, რომ ნაკლოვანება და სიმწირეც კია. დიდებული გრძნობაა, შენს სხეულში მოათავსო ახალი სიცოცხლე, გახდე ორი ერთის ნაცვლად. ზოგჯერ ტრიუმფის განცდა მიპყრობს და ამ ტრიუმფის თანმხლებ სიმშვიდეში აღარა-

ფერი მანაღვლებს: არც ის ფიზიკური ტკივილი, რომლის განცდაც მომიწევს, არც სამსახური, რომელიც ამ ყველაფერს შეენიერება და არც დაკარგული თავისუფლება. ნეტავ ქალი იქნები თუ კაცი? მინდა, ქალი იყო და ერთ დღეს ის იგრძნო, რასაც ახლა მე ვგრძნობ. არ ვეთანხმები დედაჩემს, რომელიც ქალად დაბადებას უბედურებად მიიჩნევს. სასონარკვეთილების ჟამს ამოიოხრებს ხოლმე: „ნეტავ კაცად დავბადებულყავი!“. ვიცი, კაცების მიერ კაცებისთვის შექმნილ სამყაროში ვცხოვრობთ. მათი დიქტატურა, იმდენი ხანია, გრძელდება, რომ ენაშიც კი აქვს ფესვები გადგმული. საზოგადოდ კაცს უწოდებენ ქალსაც და კაცსაც, სიტყვა კაცობრიობაშიც ორივე სქესის წარმომადგენელი ერთად მოიაზრება. კაცების მიერ სამყაროს ასახსნელად მოგონილ ლეგენდებში პირველი ქმნილება ქალი არაა: კაცია, რომელსაც ადამი ჰქვია. ევა მერე ჩნდება, რათა ადამი გაართოს და შეცდომები ჩაიდინოს. ფრესკებზე, რომლებიც მათ ეკლესიებს ამშვენებს, ღმერთი ყოველთვის წვერებიან მოხუც კაცადაა წარმოდგენილი და არა ჭალარათმიან ქალად. მათი ყველა გმირი მამაკაცია: დაწყებული ცეცხლის მომტაცებელი პრომეთედან და იკაროსიდან, რომელმაც ფრენა სცადა, დამთავრებული იესოთი, რომელიც მამისა და სულიწმინდის შვილად ითვლება. თითქოს ქალი, რომელმაც ის შობა, მხოლოდ ინკუბატორი ან ძიძა ყოფილიყოს. და მაინც, ან ზუსტად ამიტომ, საოცარია, იყო ქალი. ქალობა ერთი დიდი თავგადასავალია, რომელიც უდიდეს გამბედაობას მოითხოვს. ის გამოწვე-

ვაა, რომელიც არასდროს გბეზრდება. ქალად თუ დაიბადები, ბევრ რამეს შეეჩეხები. მაგალითად, დიდი ბრძოლა მოგიწევს იმის დასამტკიცებლად, რომ ღმერთი თუ არსებობს, ის ჭალარათმიანი ქალი ან ლამაზი გოგონაც შეიძლება იყოს. შემდეგ ის უნდა ამტკიცო, რომ ცოდვა ევას მიერ ვაშლის მონყვეტის დღეს არ გაჩენილა. იმ დღეს დაიბადა საოცარი თვისება, რომელსაც დაუმორჩილებლობა ჰქვია. ბოლოს კი ისიც უნდა დაამტკიცო, რომ შენს გლუვ და მოყვანილ სხეულში გონიერებაც იმალება, რომელსაც გამოვლენა სურს. დედობა პროფესია არაა. არც ვალდებულებაა. დედობა უფლებაა სხვა უფლებათა შორის. დაიქანცები ამის ყვირილით. და ყოველთვის, თითქმის ყოველთვის ნაგებული დარჩები. თუმცა ფარ-ხმალი არ უნდა დაყარო. ბრძოლა გამარჯვებაზე სასიამოვნოა, ისევე როგორც მგზავრობაა დანიშნულების ადგილის მიღწევაზე ტკბილი. როცა მიზანს აღწევ და იმარჯვებ, საოცარ სიცარიელეს გრძნობ. ამ სიცარიელის შევსება კი მხოლოდ ახალი მოგზაურობით, ახალი მიზნების გაჩენითაა შესაძლებელი. დიახ, იმედი მაქვს, ქალი იქნები. და იმედი მაქვს, არასდროს იტყვი იმას, რასაც დედაჩემი ამბობს. ის სიტყვები მეც არასდროს მითქვამს.

კაცად თუ დაიბადები, ეგეც გამიხარდება. იქნებ უფრო მეტადაც კი, რადგან ამგვარად ბევრ დამცირებას, მონურ მოპყრობას და შეურაცხყოფას ასცდები. არ გექნება იმის

შიში, რომ ქუჩაში ღამე ვინმე გაგაუპატიურებს. არ მოგიწევს ღამაში სახის გამოყენება პირველი შთაბეჭდილების მოსახდენად და არც მოხდენილი სხეულით შენი გონიერების დაჩრდილვა მოგიხდება. არ განგსჯიან, როცა იმასთან დანებები, ვინც მოგნონს. არც იმას გეტყვიან, ცოდვა მაშინ გაჩნდა, როცა ვაშლი მოწყვიტეო. ბევრად ნაკლებს იწვალე. იმის დასამტკიცებლად, რომ ღმერთი თუ არსებობს, შეიძლება, ის ჭაღარათმიანი მოხუცი ან ღამაში გოგო იყოს, ნაკლები ბრძოლა მოგიწევს. შეგეძლება შენინაღმდეგება ისე, რომ პასუხად დაცინვა არ მიიღო, შეგეძლება, გიყვარდეს იმ გრძნობის გარეშე, ღამე გაღვიძებისას ჭაში გადაშვებას რომ ჰგავს. შეძლებ, საკუთარი თავი ისე დაიცვა, რომ შეურაცხყოფა არ იგემო. ბუნებრივია, სხვა სახის მონობასა და უსამართლობას მაინც შეხვდები. არც კაცისთვისაა ცხოვრება ადვილი. ძლიერი მხრები გექნება და მოგთხოვენ, მძიმე ასწიო. სხვა პასუხისმგებლობებს დაგაკისრებენ. რადგან წვერი გექნება, დაგცინებენ, თუ იტირებ ან ალერსის მოთხოვნილება გაგიჩნდება. რადგან წინ კუდი გექნება, გიბრძანებენ, მოკლა ან თავად მოკვდე ომში. მოგთხოვენ, იმ ტირანის ნაწილი გახდე, რომელიც ოდესღაც გამოქვაბულში დამყარდა. თუმცა, ან ზუსტად ამიტომ, იყო კაცი – არანაკლებ საინტერესო თავგადასავალი: ის ამოცანაა, რომლის შესრულება არასდროს მოგებზრდება. ამას ვიმედოვნებ, რადგან თუ კაცად დაიბადები, მინდა, ისეთი კაცი იყო, როგორზეც ყოველთვის ვოცნებობდი – სუსტებთან კეთილი, ძლიერებთან ქედუხრელი, კეთილის-



მსურველებთან დიდსულოვანი და დაუნდობელი მათთან, ვინც შენს მართვას შეეცდება. და ბოლოს, იმედია მტრად მოეკიდები მას, ვინც გეტყვის, რომ იესო მამისა და სულიწმინდის შვილია და არა ქალის, რომელმაც ის გააჩინა.

ვცდილობ, აგისხნა, რომ კაცად ყოფნა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, წინ კუდი გქონდეს. იყო კაცი, ნიშნავს, იყო ადამიანი. პირველ რიგში, სწორედ ეს მინდა. საოცარი სიტყვაა „ადამიანი“, რადგან ამ სიტყვაში არ არის განსხვავება კაცსა და ქალს შორს და არც კუდის ქონასა და არქონას შორისაა საზღვარი გავლებული. მართლაც, რა მკრთალია ის ზღვარი, რომელიც ცდილობს, გამიჯნოს კუდის მქონენი და არმქონენი. საბოლოო ჯამში, იგი მუცელში ცოცხალი არსების გამოზრდის უნარის ქონაზე ან არქონაზე დადის. გულსა და გონებას სქესი არ აქვს. არც ადამიანის ქცევას. თუ კარგი გულისა და კეთილი გონების პატრონი იქნები, დაიხსომე, არასდროს ვიქნები ერთ-ერთი იმათგანი, ვინც რომელიმე სქესის შესაფერისი ქცევისკენ მოგიწოდებს. მხოლოდ იმას გთხოვ, რომ ბოლომდე გამოიყენო ამ ქვეყნად მოვლენის სასწაული და არასდროს გამოიჩინო სიმხდალე. სიმხდალე მხეცია, რომელიც ყოველთვის ახლოსაა ჩასაფრებული. ის ყველა ჩვენგანს კბენს ყოველდღე და ძალიან ცოტაა, ვინც მას არ ეპუება – ზოგი გონიერების, ზოგი მიზანშეწონილობის, სხვანი კი სიბრძნის სახელით. სანამ საფრთხე ემუქრებათ, ადამიანები სიმხდალეს იჩენენ და მხოლოდ მაშინ დიდგულდებიან, როცა ყველაფერი ჩაივლის. საფრთხეს არასდროს უნდა შეუშინდე, მაშინაც

კი, როცა შიში გაფერხებს. ამ ქვეყნად მოვლენა უკვე საფრთხეა. იმის საფრთხეა, რომ მოგვიანებით ამას ინანებ.

ალბათ, ძალიან ადრეა შენთან ამაზე ლაპარაკი. იქნებ არ უნდა გიყვებოდე ამქვეყნიურ სიმახინჯეებსა და ბოროტებაზე და უმანკო, მხიარულ სამყაროს უნდა გიხატავდე. მაგრამ ეს შენი ხაფანგში გაბმა უფრო იქნებოდა. ვერ დაგაჯერებ, რომ სამყარო რბილი ხალიჩაა, რომელზეც ფეხშიშველა სიარულია შესაძლებელი, რადგან იგი ქვიან გზას უფრო ჰგავს, შვილო. ეს ქვა გვაბრკოლებს ან ჩვენი დაცემისა და ტკივილის მიზეზი ხდება. მისგან თავდაცვა მხოლოდ რკინის ფეხსაცმელებითაა შესაძლებელი და ესეც არ კმარა. ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, ვინც ქვას აიღებს და თავში გესვრის. დღეისთვის დავამთავრე, შვილო. ჩასწვდი გაკვეთილის არსს? ვინ იცის, რას მეტყობა, ვინმე რომ მისმენდეს. ალბათ, იტყობენ, რომ გიჟი ან უბრალოდ ბოროტი ვარ. შენს ფოტოს დავხედე, ხუთი კვირის ასაკში ერთი სანტიმეტრიც კი არ ხარ. სწრაფად იცვლები. მისტიკურ ყვავილზე მეტად ახლა საოცარ მუხლუხს ჰგავხარ, ან თევზს, რომელსაც სწრაფად ეზრდება ფარფლები – ოთხი ფარფლი, რომლებიც შემდეგ ხელეზად და ფეხებად იქცევა. თვალების ადგილზე უკვე გაქვს წრეში ჩასმული ორი პანანინა შავი წერტილი, ქვემოთ კი კუდიც მოგიჩანს! წარწერა იუნყება, რომ ამ ვადაზე თითქმის შეუძლებელია შენი განსხვავება სხვა ნებისმიერი ძუძუმწოვრის ემბრიონისგან. კატაც რომ ყოფილიყავი, თითქმის ასეთივე იქნებოდი. სახე მართლაც არ გიჩანს. არც

ტვინი. მე გელაპარაკები, პატარავ, შენ კი ჩემი არ გესმის. წყვილიაღში ჩაფლული, საკუთარ არსებობასაც კი უგულვებლყოფ: შემეძლო, თავიდან მომეშორებინე, შენ კი ვერასდროს გაიგებდი, რომ ეს გავაკეთე. ვერასდროს შეძლებდი, შეგეფასებინა, ცუდად მოგექეცი თუ საჩუქარი გაგიკეთე.

გუშინ საშინელ ხასიათზე ვიყავი. მაპატიე, რომ გითხარი, შემეძლო, თავიდან მომეშორებინე-მეთქი. ეს მხოლოდ სიტყვებია და მორჩა. ჩემი გადანყვეტილება უცვლელია, მიუხედავად იმისა, რომ ის ბევრის გაკვირვებას იწვევს. წუხელ მამაშენს ველაპარაკე. შენი არსებობა ვამცნე. ტელეფონზე იმიტომ ვესაუბრე, რომ შორსაა და როგორც ხმაზე შევატყვე, ახალი ამბავი დიდად არ ეპიტანავა. თავიდან სიჩუმე ჩამონვა, არადა კავშირი განყვეტილი არ იყო. შემდეგ ხრინწიანი ხმით ბორძიკით მითხრა: „რამდენი დასჭირდება?“. გაუაზრებლად ვუპასუხე: „ცხრა თვე. უფრო სწორად, უკვე რვა თვეზე ნაკლები“. ხმა ხრინწიანის ნაცვლად მკვეთრი გაუხდა: „ფულზე გეკითხები“. „რა ფული?“ – ვკითხე. „ფული, რომელიც მის მოსაშორებლადაა საჭირო“. დიახ, სწორედ „მოშორება“ თქვა. თითქოს უსარგებლო ფუთა ყოფილიყავი. როდესაც, რაც შეიძლება, მშვიდად ავუხსენი, რომ სხვა გეგმები მქონდა, გრძელ მსჯელობას მოჰყვა, რომელშიც თხოვნა რჩევას ენაცვლებოდა, რჩევა – მუქარას, მუქარა კი – მლიქვნელობას. „შენს კარიერაზე იფიქრე, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, ერთ დღეს

შეიძლება ინანო, სხვები რას იტყვიან“. ალბათ, ის ზარი ძალიან ძვირი დაუჯდა. შიგადაშიგ ოპერატორი ერთვებოდა და განცვიფრებით გვეკითხებოდა: „ისევ ხაზზე ხართ?“. მე ვიღიმებოდი, ლამის ვერთობოდი. თუმცა ღიმილი სახეზე შემაცივდა, როცა ჩემი სიჩუმით შეგულიანებულმა მითხრა, რომ ხარჯები შუაზე უნდა გაგვეყო, რადგან ორივენი „დამნაშავეები“ ვიყავით. უცებ გულისრევის შეგრძნება დამეუფლა. მის მაგივრად შემრცხვა. ყურმილი დავდე იმ ფიქრში ჩაძირულმა, რომ ოდესღაც მიყვარდა.

მიყვარდა კი? ერთ დღეს ჩვენც მოგვინევს იმ საკითხზე ლაპარაკი, სიყვარული რომ ჰქვია. სიმართლე გითხრა, ჯერ კიდევ არ ვიცი, რა არის სიყვარული. ჩემი აზრით, ის ხალხის გასაჩუმებლად და ყურადღების გასაფანტავად მოგონილი ოინია. სიყვარულზე ლაპარაკობენ მღვდლები, სარეკლამო პლაკატები, მწერლები, პოლიტიკოსები, შეყვარებულები. თითოეული მათგანი სიყვარულს ყველაფრის პანაცეად წარმოგვისახავს, თავად კი სხვებისთვის ტკივილის მიყენებას, ღალატსა და ადამიანის სულისა და სხეულის დაღუპვას განაგრძობს. მძულს ეს სიტყვა, რომელიც ყველგანაა და ყველა ენაში. მიყვარს სეირნობა, მიყვარს დაღევა, მიყვარს მონწევა, მიყვარს თავისუფლება, მიყვარს ჩემი შეყვარებული, მიყვარს ჩემი შვილი. ვცდილობ, ეს სიტყვა არასდროს გამოვიყენო და არასდროს ვუნოდო სიყვარული იმას, რაც ჩემს გონებასა და გულს ამძიმებს. არც კი ვიცი, მიყვარხარ თუ არა. შენზე სიყვარულის თვალსაზრისით არ ვფიქრობ, შენზე სიცოცხლის თვალ-